

# თამბაქოს რეფორმა 15 წერში 53 000 ადამიანს იხსნის ნაადრევი სიკვდილისგან



თბილისში „საერთაშორისო საპარლამენტო ფორუმი თამბაქოს კონტროლის შესახებ“ მიმდინარეობს.

პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ფორუმის მონაწილეებს სიტყვით მიმართა და თამბაქოს კონტროლის გაძლიერების ღონისძიებების მნიშვნელობაზე და საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელებული რეფორმები იმსჯელა. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, თამბაქოს რეფორმის შედეგად, ქვეყანამ მიიღო თამბაქოს მავნე ზეგავლენისგან მოქადაქეების დაცვის ძლიერი და ეფექტიანი შემზღუდველი ნორმებით აღჭურვილი კანონმდებლობა, რომლის აღსრულების მაჩვენებელი მაღალია.

*„რეგულაციებმა განაპირობა თამბაქოს კვამლისაგან დახურული სივრცის განთავისუფლება; თამბაქოს რეკლამის, სპონსორობისა და პოპულარიზაციის ყველა ფორმის აკრძალვა; მოგვიანებით ამოქმედდა ეფექტიანი სამედიცინო გაფრთხილებების (პიქტოგრამის) ვარდებულება.*

*2023 წლიდან კანონით გათვარისწინებულია თამბაქოს პროდუქტის სადა შეფუთვის შემოღება. საბოლოოდ, ქვეყანამ მიიღო თამბაქოს მავნე ზეგავლენისგან მოქადაქეების დაცვის ძლიერი და ეფექტიანი შემზღუდველი ნორმებით აღჭურვილი კანონმდებლობა, რომელიც ხასიათდება აღსრულების მარტივი და დახვეწილი მექანიზმებით. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ჩვენ გვაქვს კანონის აღსრულების ძარიან მაღალი – 96%-იანი მაჩვენებელი“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.*

პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველო პირველი ქვეყანაა, სადაც გაეროს განვითარების პროგრამის, ჩარჩო კონვენციის სამდივნოს და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ძარისხმევით, თამბაქოს კონტროლის საინვესტიციო შემთხვევის შეფასება ჩატარდა. მისივე თქმით, კვრევამ აჩვენა, რომ განხორციელებული რეფორმა, მომავალი 15 წლის განმავლობაში, 53 000 ადამიანს იხსნის ნაადრევი სიკვდილისგან და ქვეყანას 3.6 მილიარდი ლარის ოდენობის ფინანსურ და ეკონომიკურ დანაკარგს ააცილებს თავიდან.

მისივე განცხადებით, რეფორმის განხორციელებას ხელი შეუწყო საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერამ. ირაკლი კობახიძემ, ასევე, ხაზი გაუსვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობის მნიშვნელობას.

*„ამ ხელშეკრულებით საქართველომ აიღო კონკრეტული ვადებულებები თამბაქოს პროდუქტების რეგულირებასთან დაკავშირებით. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანას აქვს გრძელვადიანი ხელვა. კერძოდ, შემუშავებულია სტრატეგია „საქართველო 2020“. ეს არის მრავალდარგობრივი, მურტისექტორული სოციალური-ეკონომიკური განვითარების გეგმა, რომელიც სრულ თანხვედრაშია მდგრადი განვითარების მიზნებთან“, - განაცხადა სიტყვით გამოსვლისას ირაკლი კობახიძემ.*

„საერთაშორისო საპარლამენტო ფორუმი თამბაქოს კონტროლის შესახებ“ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის (WHO FCTC) სამდივნოს, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტისა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით იმართება.

ფორუმი გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის (WHO FCTC) სამდივნოს, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტისა და დაავადებათა კონტროლისა და

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით  
იმართება.